



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის
დირექტორის

ბრძანება № 01-01/04

ქ. თბილისი

26.03.2025 წ.

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის 2025 წლის ატესტაციის შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდგომში - „ობსერვატორია“) წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „კ“ და „ტ“ ქვეპუნქტების, მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და მე-7 პუნქტის საფუძველზე, აგრეთვე, ობსერვატორიის დირექტორის მოადგილის, ბ. ჩარგეიშვილის წარდგინების (№340419, 26.03.2025 წ.) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. **გამოცხადდეს** მთავარი მეცნიერი თანამშრომლების ატესტაცია.
2. ატესტაცია დაიწყოს 2025 წლის 26 მარტს და დასრულდეს არაუგვიანეს 2024 წლის 7 აპრილისა.
3. განისაზღვროს ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციის წესი, წინამდებარე ბრძანების №1 დანართის შესაბამისად.
4. დადგინდეს ატესტაციას დაქვემდებარებული პირების ნუსხა, წინამდებარე ბრძანების №2 დანართით.
5. დამტკიცდეს საატესტაციო კომისიის შემადგენლობა, წინამდებარე ბრძანების №3 დანართის შესაბამისად და მისი უფლებამოსილება შეწყდეს ატესტაციის ვადის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ.

6. დამტკიცდეს საატესტაციო განცხადების ფორმა, წინამდებარე ბრძანების №4 დანართის შესაბამისად.
7. დამტკიცდეს საატესტაციო ფურცელი, წინამდებარე ბრძანების №5 დანართის შესაბამისად.
8. ბრძანება ეცნობოს დაინტრესებულ პირებს.
9. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

დირექტორი



რევაზ ჭანიშვილი

**სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის
მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციის წესი**

მუხლი 1. ატესტაციის მიზანი და პრინციპები

1. სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - „ობსერვატორია“) მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციის მიზანია, ამ თანამშრომლის სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2. ატესტაციის პრინციპები არის:

ა) **გამჭვირვალობა** – ატესტაციის წესი, გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და ატესტაციის კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ატესტაციას დაქვემდებარებული პირისათვის. ატესტაციისას გამოყენებული სამართლებრივი აქტები, უფლებამოსილი პირ(ებ)ის გადაწყვეტილებები და ატესტაციის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის. მთავარი მეცნიერი, რომელიც არ ეთანხმება ატესტაციის შედეგს, უფლება აქვს მოითხოვოს მისი გადამოწმება ან/და შესაბამისი განმარტების მიღება;

ბ) **თანასწორობა** – ატესტაციას დაქვემდებარებული პირები თანასწორნი არიან განურჩევლად რასის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, აგრეთვე, მიუხედავად საზოგადოებაში მათი მდგომარეობის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის. ატესტაციას დაქვემდებარებული პირები ექვემდებარებიან ერთი და იგივე ატესტაციის კრიტერიუმებით შეფასებას;

გ) **ობიექტურობა** – ატესტაციის პროცედურები უნდა გამოირიცხავდეს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, მათ შორის უზრუნველყოფდეს ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ჩართულობას ატესტაციის შედეგის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მუხლი 2. ატესტაციას დაქვემდებარებული პირები

1. ობსერვატორიაში მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ინიშნება უვადოდ, ამასთან, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ის ექვემდებარება ატესტაციას.

2. ატესტაცია შეეხება საატესტაციო პერიოდის დადგომის დროს ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშნულ ყველა პირს.

მუხლი 3. ატესტაციის ჩატარებაზე უფლებამოსილი სუბიექტი

1. ატესტაციას ატარებს ობსერვატორიის დირექტორის მიერ განსაზღვრული საატესტაციო კომისია (შემდეგში - „საატესტაციო კომისია“).

2. საატესტაციო კომისია საქმიანობს წინამდებარე წესისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იგი:

ა) იღებს, არეგისტრირებს (eflow) ატესტაციაზე დაშვების განცხადებებს და ახდენს საქმეთა ფორმირებას, საჭიროების შემთხვევაში - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე ხელს აწერს ობსერვატორიის წერილის ბლანკზე შესრულებულ (eflow) წერილს (ხელმოწერის უფლებამოსილება);

ბ) ახორციელებს ატესტაციისთვის გამოყოფილი ელექტრონული ფოსტის (vacancy@abao.ge) ადმინისტრირებას;

გ) შეაჯამებს ატესტაციის შედეგებს, თითოეულ ატესტაციას დაქვემდებარებულ პირზე ცალ-ცალკე;

დ) აწარმოებს ატესტაციის დასკვნის დაინტერესებული პირებისათვის გაცნობას;

ე) ახორციელებს ატესტაციასთან დაკავშირებულ სხვა თანმხლებ სამუშაოებს.

3. საატესტაციო კომისია ვალდებულია ატესტაციის მიმდინარეობის პროცესში დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ატესტაციის მიმდინარეობასთან და გადაწყვეტილების მომზადებასთან დაკავშირებული შიდაუწყებრივი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ატესტაციის პროცესში და ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს სხვა პირებისთვის.

მუხლი 4. ატესტაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. ატესტაციას დაქვემდებარებულმა პირმა, წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობებისა და ვადის დაცვით, საატესტაციო კომისიას შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე, უნდა წარუდგინოს **განცხადება** (ხელმოწერილი, სკანირებული, შედგენილი დადგენილი ფორმის დაცვით) და გამოქვეყნებული სამეცნიერო-კვლევითი **პუბლიკაციების ჩამონათვალი**, შესაბამისი ინტერნეტ-ბმულების მითითებით.

2. ატესტაციას დაქვემდებარებული პირი ვალდებულია ატესტაციისთვის წარადგინოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები, ასევე, უზრუნველყოს მოთხოვნილი დოკუმენტების სისწორე. იგი სრულადაა პასუხისმგებელი აღნიშნული პირობის დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის როგორც ობსერვატორიის, ისე მესამე პირების წინაშე.

3. საატესტაციო კომისიას უფლება აქვს ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს დამატებით მოსთხოვოს წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი მასალის მოწოდება, თუკი უკვე წარდგენილი ინფორმაციის რწმუნებისთვის ეს აუცილებელია ატესტაციის სრულფასოვნად ჩასატარებლად.

მუხლი 5. განცხადებების მიღება/შემოწმება

1. განცხადებების მიღებისას მოწმდება ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესაბამისობა წინამდებარე წესის მოთხოვნებთან.

2. თუ დადგინდა, რომ ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება წინამდებარე წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მას ეცნობება ამის შესახებ, რის შემდეგაც მან ეს ხარვეზი უნდა შეავსოს, მითითებულ ვადაში.

მუხლი 6. ატესტაციის პირობა

ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ატესტაციის გავლის პირობას წარმოადგენს 2015 წლიდან ატესტაციის განცხადების წარდგენამდე პერიოდის განმავლობაში მისი ავტორობით/თანაავტორობით გამოქვეყნებული მინიმუმ 5 სტატია მაღალი, არანაკლებ 2 იმპაქტ-ფაქტორის მქონდე სამეცნიერო ჟურნალებში, ობსერვატორიის პროფილის შესაბამისად.

მუხლი 7. ატესტაციის შედეგი

1. საატესტაციო კომისია ადგენს ატესტაციას დაქვემდებარებული პირი აკმაყოფილებს თუ არა საატესტაციო პირობას, ადგენს მის შესაბამისობას ობსერვატორიის მთავარ მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან და შედეგს წარუდგენს ობსერვატორიის დირექტორს.

2. ატესტაციის შედეგები ელექტრონული შეტყობინების სახით ეცნობება ატესტაციას დაქვემდებარებულ თითოეულ პირს.

მუხლი 8. აპელაცია

ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს ატესტაციის შედეგის მიმართ საკუთარი პრეტენზია წერილობითი აპელაციის სახით დააფიქსიროს ობსერვატორიაში ელექტრონულად, ელ-ფოსტის (info@abao.ge) გამოყენებით, ამ შედეგის გაცნობიდან 24 საათის ვადაში. ეს აპელაცია განიხილება სააპელაციო კომისიის მიერ უმოკლეს ვადებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება აპელაციის ავტორს, ასევე, ელექტრონულად.

ატესტაციას დაქვემდებარებული პირების ნუსხა

	სტრუქტურული ერთეული	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი
1	გალაქტიკებისა და ვარსკვლავების განყოფილება	1 სამუშია ლადო	10.04.2020 წელი
2		2 თევზაძე ალექსანდრე	21.12.2022 წელი
3		3 სიგუა ლორანდი	15.12.2020 წელი
4	მზისა და მზის სისტემის განყოფილება	1 ზაქარაშვილი თეიმურაზი	10.04.2020 წელი
5		2 ჭანიშვილი რევაზი	29.04.2020 წელი
6		3 თაქთაქიშვილი ალექსანდრე	10.04.2020 წელი
7	თეორიული ასტროფიზიკისა და კოსმოლოგიის განყოფილება	1 მელიქიძე გიორგი	15.12.2020 წელი
8		2 ჩაგელიშვილი გიორგი	10.04.2020 წელი
9		3 კახნიაშვილი თინათინი	15.12.2020 წელი

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის 2025 წლის საატესტაციო კომისია

1. თავმჯდომარე - **ბიძინა ჩარგეიშვილი** - ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე;
2. წევრი - **ნანა კილასონია** - ობსერვატორიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, იურისტი;
3. მდივანი - **თათია მიგინეიშვილი** - ობსერვატორიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი.

სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური
ობსერვატორიის საატესტაციო კომისიას

ამავე დაწესებულების _____ განყოფილების

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის

_____ (სახელი, გვარი)

ს ა ა ტ ე ს ტ ა ც ი ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლების თანამდებობაზე ჩემი ატესტაციის მიზნით, თანდართული სახით წარმოგიდგენთ ჩემი სტატიების სიას, შედგენილს ატესტაციის პირობების შესაბამისად.

დანართი: _____ გვერდი.

ხელმოწერა: _____ თარიღი: ____ . 0 ____ . 2025 წელი

საატესტაციო ფურცელი

ატესტაციას დაქვემდებარებული პირის ვინაობა:

ატესტაციას დაქვემდებარებული პირის პირადი ნომერი:

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი:

საატესტაციო კომისიის დადგენილება:

ატესტაციის გავლის თარიღი: ____ . ____ . 2025 წელი

კომისიის თავმჯდომარე _____

კომისიის წევრი _____

კომისიის მდივანი _____